წელიწადი მეცამეტე

ბოლშევიკური ფიცით შეუყრიათ, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბილ. კომკავშირის ორგანო

ტელეფონები რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, სამდივნოსი—10—58, მეო. კონტორის—8—61.

ხუთშაბათი
22
ივნისი
1933 წ.
№ 142 (3698)

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის 1933 წლის მოსავლის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

1933 წლის 19 იანვრის კანონის საფუძველზე

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიაქცევენ ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღებას 1933 წლის პურის დამზადების თავისებურებაზე. წინანდელი წლებისაგან განსხვავებით, წელს ჩვენ გვაქვს არა ძველი ტიპის პურის დამზადება, რაც ტარდებოდა გლეხობასთან არა სავსებით გარკვეულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე, არამედ მარცვლეულის ჩაბარება, რაც ემყარება მტკიცე და ურყევ კანონს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისა თვის. ეს ნიშნავს იმას, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული არავითარი გადახრა მარცვლეულის ვადაზე ჩაბარების ვალდებულებებისაგან.

წინა წლებისაგან განსხვავებით, მარცვლეულის ჩაბარება სახელმწიფოსათვის მიმდინარე წელს იწარმოებს არა არსებული გეგმების მიხედვით, არამედ კანონის მიერ დაწესებულ მტკიცე და უცვლელი ნორმების მიხედვით, რამაც უნდა განამტკიცოს კოლმეურნეობათა მდგომარეობა, შექმნას მტკიცე მდგომარეობა მეურნეობაში და უზრუნველყოს კოლმეურნეობისა და ერთპიროვნულ მეურნეობისათვის შესაძლებლობა ზუსტად გამოიანგარიშონ თავისი შემოსავალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული არავითარი შემხვედრი გეგმები მარცვლეულის ჩაბარების მხრით.

ბოლოს, გასული წლებისაგან განსხვავებით, როცა პურის დამზადების პირველი 2—3 თვე ივლისი-აგვისტო-სექტემბერი უნდებოდა ეგრეთწოდებულ, ამოძრავების, ხოლო უკანასკნელ თვეებში ცდილობდენ აენაზღაურებიათ დაკარგული დრო რებრესიების გამოყენების წესით,—მიმდინარე წლის მარცვლეულის ჩაბარებაში გადამწყვეტ თვეებს უნდა წარმოადგენდეს პირველი სამი თვე, ივლისი-აგვისტო-სექტემბერი. პურის დამზადების გამოცდილება მოწმობს, რომ სწორედ პირველი სამი თვე სწყვეტს პურის დამზადების ბედს, ვინაიდან ის, რაც დაიკარგა ამ თვეებში, არ შეიძლება აღდგენილ იქნას მთელი დამამზადებელი წლის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება უნდა გაიშალოს მისი გალეწვის პირველივე დღეებიდან, ხოლო საკოლმეურნეო ვაჭრობა უნდა შეჩერდეს მარცვლეულის ჩაბარების პირველივე დღეებიდან.

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. შესწყდეს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა პურით, აგრეთვე მარცვლეულის შესყიდვა პურის შემსყიდველ გაერთიანების მიერ შუა აზიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში—1933 წლის 25 ივნისიდან; უკრაინაში, ყირიმში, ჩრდილოეთ-კავკასიაში, ქვემო ვოლგის მხარეში, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში, შუა ვოლგის მხარეში, თათართა რესპუბლიკაში, ალმა-ატას ოლქში და კაზაკსტანის სამხრეთ ოლქებში—1933 წლის 1 ივლისიდან; დანარჩენ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში—1933 წლის 1 ავგისტოდან.

2. დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მოაწყონ მარცვლეულის ჩაბარება როგორც საკოლმეურნეო, ისე ერთპიროვნულ სექტორშიაც გალეწვის დაწყებისთანავე.

3. გავრცელდეს კანონი მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ იმ კოლმეურნეებზე, რომლებმაც დათესეს მარცვლეული კულტურები საკარმიდამო მიწებზე, ფაქტიური ნათესის მიხედვით — 5 პროცენტით ნაკლები ერთპიროვნულ მეურნეთა ნორმებზე და 5 პროც. მეტი კოლმეურნეობათა ნორმებზე.

4. დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უზრუნველყონ მარცვლეულის ჩაბარების ოპერატიული ხელმძღვანელობა, ამასთან მათ უნდა ახსოვდეთ, რომ დამამზადებელი აპარატის განმტკიცება ოდნავადაც არ ხსნის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს პასუხისმგებლობას მარცვლეულის ჩაბარების ჩატარებისათვის, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას. პერსონალური პასუხისმგებლობა მარცვლეულის ჩაბარების წარმატებით მიმდინარეობისათვის რესპუბლიკებსა და ოლქებში დაეკისროს სამხარეო კომიტეტების და საოლქო კომიტეტების მდივნებს, მხარეების და ოლქების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რაიონებში—რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს. ხოლო სოფელში—სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს, — კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო უფრედების მდივნებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსებს.

5. აეკრძალოს ხელისუფლების უკლებლივ ყველა ორგანოებს, მათ შორის დამამზადებელ ორგანიზაციებსაც, მარცვლეულის ჩაბარების შემხვედრი გეგმების დაწესება კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის და გაფრთხილება მიეცეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ ის პირები, რომლებიც დამნაშავე აღმოჩნდებიან შემხვედრი გეგმების დაწესებაში, მიეცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი)

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—ი. სტალინი

მოსკოვი, 20 ივნისი 1933 წ.

ტექნიკური და სახნავი კულტურების დამუშავების და გათოხნის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1933 წლის 21 ივნისის დადგენილება

საგანგებოდ თესვა ძირითადად დამთავრდა დაწესებულ ვადებში და 20—25 დღით ადრე, გასულ, წელთან შედარებით. აგრეთვე გაუმჯობესდა ტექნიკური და სახნავი კულტურების სათესი მიწის დამუშავების ხარისხი.

ამ პირველ წარმატებათა შედეგად, მთელ რიგ სარაიონო და სასოფლო პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანიზაციებში თვით ისინი თვითკმაყოფილების და დემობილიზაციის განწყობილებებმა, რამაც გამოიწვია დამუშავება-გათოხნის სამუშაოების არადამაკმაყოფილებლად გაშლა.

გათოხნა - დამუშავების კამპანიის წარმატებით ჩატარების და კულტურების (ჩაი, თამბაქო, ბამბა, შაქრის ჭარხალი, სიმინდი, მეგვანახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა) მოსავლიანობის დაწესებული გეგმის მთლიანად შესრულების საკითხს ამჟამად სწყვეტს შრომის სწორი ორგანიზაცია და იმ სავშუალოების ხარისხის კონტროლი, რომელიც ეხლა ტარდება.

ზემოაღნიშნულისა გამო საქართველოს სახკომსაბჭო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ი ადგენენ:

1. იმის გამო, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სპეციალიზებული, დარგობრივი ბრიგადების (ჩაის, მეჭარხლეობის, მეთამბაქოს ბის, მევენახეობის და სხვ.) ორგანიზაციის პრაქტიკა, რაც იწვევს ბრიგადების არათანაბარ დატვირთვას სამუშაოების ცალკეულ სეზონების მიხედვით, გათოხნა-დამუშავების გაჭიანურებას, ბრიგადების გადასროლას ერთ საწარმოო უბნიდან მეორეზე, კოლმეურნეთა გადაყვანას ერთი ბრიგადიდან მეორეში, საწარმოო უბნების ფაქტიურ გაუპიროვნებას და ბრიგადების შემადგენლობის დენადობას. — უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო უბნების მიმაგრება მუდამ ბრიგადებზე იმგვარად, რომ ცალკეული კულტურების ოდენობამ საწარმოო უბნებზე უზრუნველყოს ბრიგადების რაც შეიძლება უფრო თანაბარ და სრულად დატვირთვა მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში; ფართოდ იქნას შემოღებული პრაქტიკაში ბრიგადების დანაწილება დროებით ჯგუფებად ან რგოლებად სეზონების და იმ ცალკეული სამუშაოების (ჩაის ფოთლის აღება და სხვ.) მიხედვით, რომლებსაც ატარებს ბრიგადა, აგრეთვე 5—7 კაცისაგან შემდგარი მუდმივი რგოლები, რომლებიც მიმაგრებულ იქნან ჭარხლის ნათეს ნაკვეთებზე და რომლებსაც დაეკისრება ყველა სამუშაოები. დაწყებული მწკრივთა შორის გაფხვიერებიდან გათავებული ჭარხლის ამოთხრით მისი ჩაბარების მომენტამდე.

2. კოლმეურნეობებში შრომის დღისათვის ბრძოლის გაშლის და კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად, მთელ რიგ შემთხვევებში გამომუშავების დაწესებული ნორმები აღმოჩნდა დაბალი, კოლმეურნეთა ფაქტიურად შესაძლო გამომუშავებასთან შედარებით; ამასთან დაკავშირებით, გადაისინჯოს კოლმეურნეობებში დაწესებული გამომუშავების ნორმები იმ ანგარიშით, რომ გადიდებულ იქნას ისინი და შეუფარდდეს კეთილსინდისიერ კოლმეურნეთა ფაქტიურ გამომუშავებას.

3. ვინაიდან მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის გატარებული სამუშაოების დანაწილება 7 ჯგუფად სახ-ბჭოთა კავშირის მიწსახკომის 28 თებერვლის და საქართველოს მიწსახკომის 1933 წლის 23 მარტის დადგენილებებთან შეფარდებით, აგრეთვე იმის გამო, რომ ცალკეულ სამუშაოების ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნების დროს არ ითვალისწინებენ შუამავის ხასიათს და მნიშვნელობას, შემოწმებულ იქნას, თუ როგორ ხორციელდება ფაქტიურად კოლმეურნეობებში აღნიშნული დადგენილებანი.

4. შეიქმნას თვითეულ რაიმიწგანთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან კოლმეურნეობასთან და ბრიგადასთან აგრო ინსპექციები, რომლებსაც დაეკისროს იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებს სავალდებულო აგროწესებს საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, კოლმეურნე და როგორია მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი იმ ანგარიშით, რომ სავალდებულო აგროწესების დარღვევნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში კანონით დად ენილი წესით, ხოლო ცუდი ხარისხით ჩატარებული სამუშაოები არ იქნას ანგარიშგასაწევად, შესრულებულს ისინი ხელმეორედ და იმ პირებს, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან არაკეთილსინდისიერ მუშაობაში, დაედვას სასჯელი.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების ფაქტიურად შესრულებას, სადაც ნათქვამია, რომ რაიონულმა მუშაკებმა — სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა, კოლმეურნეთა თავმჯდომარეებმა, საკოლმეურნეო ბრიგადირებმა და აგრონომებმა დაიწყონ მუშაობა გლეხების მინდვრად გასვლამდე ერთი საათით ადრე იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამინდვრე ბრიგადების მუშაობის დაწყება მთლიანად გლეხებისათვის ჩვეულებრივ დროს — განთიადისას კოლმეურნის სამუშაო დღის მაქსიმალურად შემჭიდროებით.

6. აღინიშნოს, რომ მუშაობაში არ არიან ჩაბმული კოლმეურნეთა ყველა შრომის უნარის მქონე ოჯახის წევრები და დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს ჩააბან მუშაობაში კოლმეურნის ოჯახის ყველა შრომის უნარის მქონე წევრები, კერძოდ, ქალები და მოზარდები.

საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ი მოითხოვენ ჯგანსახკომისა და განსახკომისაგან. აგრეთვე რაიკომებისა და რაიაღმასკომებისაგან ნამდვილად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დირექტივა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს კოლმეურნეობებში საბავშვო მოეწყობის და ბაგების მოწყობის შესახებ.

7. შემოღებულ იქნას კოლმეურნეობებში ისეთი წესი, რომ კოლმეურნეებმა პირველ რიგში შეასრულონ საკოლმეურნეო სამუშაოები და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეთ მათ თავისი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების საშუალება.

8. ბოლო მოეღოს აშკარა უმსგავსობას და თვითნებობას იმ ფულადი და ნატურალური ავანსების განაწილების საქმეში, რომლებსაც ღებულობენ კოლმეურნეები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით (ავანსების გაცემა არა შრომა-დღეების, არამედ „საჭიროების“ მიხედვით, შათი ხარჯვა არადანიშნულებისამებრ) და წესდეს ავანსების მიცემა კოლმეურნეობებისათვის მხოლოდ და მხოლოდ შრომა-დღეების მიხედვით, ამასთან ავანსების გაცემა, როგორც წესი, მოხდეს 5—10 დღეში ერთხელ; სისხლის სამართლის პასუხისგებაავანსების სწორად განაწილებისათვის დაეკისროს რაიმიწგანების გამგეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

9. გადაისინჯოს კოლმეურნეთა წლიური საწარმოო გეგმები, შევსებულ იქნას ისინი სახელმწიფოს წინაშე სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე ჩაბარების და დამზადების ვალდებულებებით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით.

10. საწარმოო გეგმები აგრეთვე შევსებულ უნდა იქნას იმ სასუროსათო მარცვლეულის და სხვა პროდუქტების რაოდენობის გამოანგარიშებით, რომლებიც მოდის ერთ შრომა-დღეზე იმ პირობით, რომ კოლმეურნეობანი მიიღებენ მათთვის დაწესებულ მოსავალს მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებებს, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარება, სესხად მიღებული თესლის დაბრუნება, სათესლე საფონაუე და დასაზღვევი ფონდების შენახვა, ნატურალური ანაზღაურება სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობისათვის, ვადაღინ კრედიტების, ვალების და სხვა ნაწარმოო ხარჯების დაფარვა.

11. წლიური გეგმები—საკოლმეურნეო ბრიგადების დავალებანი შეუფარდდეს დამუშავება-გათოხნის სამუშაოების დაწესებულ ვადებს და აგროტებნიკას, შემოღებულ იქნას პრაქტიკაში სამუშაო გეგმის შედგენა ბრიგადებისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ცალკე სეზონებზე და აიკრძალოს მუშაობის ყოველდღიური განრიგის მიცემა ბრიგადირისათვის, მაგრამ იმ პირობით, რომ ბრიგადის თვითეულმა წევრმა უკვე წინადღით იცოდეს სად და რა სამუშაოზე უნდა წავიდეს იგი მეორე დღეს.

12. საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ი წინადადებას აძლევენ რაიკომებს და რაიაღმასკომებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სახ-ბჭოთა მეურნეობების დირექტორებს კოლმეურნეობებში მუშა-ხელის შეგროვების მხრივ, ჭარბი მუშა-ხელის გამოვლინების და გარე სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციის გზით.

სახ-ბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა კოლმეურნეობებში მუშა-ხელის შეგროვებასთან ერთად აწარმოონ მისი შეგროვება ერთპიროვნულ მეურნეებს შორისაც.

13. საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ი ადგილობრივ პარტიული, სახ-ბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ საჭიროა, რაიმიწგანებთან არსებულ აგრონინსპექციებს, სასოფლო სახ-ბჭოების და აგრორწმუნებულების მეშვეობით, ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ერთპიროვნულ მეურნეობებში დამუშავება-გათოხნის სამუშაოების ორგანიზაციის მხრივ და კონტროლის დაწესება იმაზე, თუ როგორ ასრულებენ ისინი სავალდებულო აგროწესებს და იმ სამუშაოების ხარისხის მხრივ მიცემულ დავალებებს, რომლებსაც ისინი ატარებენ.

14. სოფლის მეურნეობის მავნებელთა მასიური გავრცელების გამო, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის ნაოსებს და მრავალწლიან ნარგავებს, საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ი ავალებენ რაიონულ და სასოფლო პარტიულ, საბჭოთა და სამეწადმოქმედო ორგანოებს, სოფლის მეურნეობის მავნებელთა მოსპობის მიზნით, უახლოეს დღეებში ჩაბან მთელი მოსახლეობა ბრძოლაში მავნებელთა წინააღმდეგ.

საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ი გაფრთხილებას იძლევიან, რომ ველის ფარვანას და სხვა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ გადამწყვეტ საშუალებას წარმოადგენს მინდვრების და მათ ახლო მდებარე ნაკვეთების მუდმივ სუფთად შენახვა იხეთ ღონისძიებათა გატარების გზით, როგორიცაა: მრავალჯერ ცხვრების გადაგდება, კულტივაცია, გამარგვლა, სარეველა მცენარეების მოსპობა მინდვრებზე, მიჯნებზე, გზების ნაპირებზე, სარწყავ არხებზე, აგრეთვე იმ ნაკვეთების ხელმეორედ დახვნა, რომლებზედაც კულტურები მოსპობილია მავნებლების მიერ, საანეულო ხვრელების ნაპურალის ამოშვა.

საქართველოს ს.ს. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ-რე—მგალობლიშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—ბერია.

მარცვლეული კულტურების აღების და გალეწვის ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 21 ივნისის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 24 მაისის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I. მარცვლეული კულტურების აღების შესახებ

1. მცენარე ჯიშების ხორბლის (უკრაინკა და კოოპერატორკა) აღება ჩატარდეს მარცვლის პირველივე შეყვითლების სტადიაში, დანარჩენი უცვენელი ჯიშებისა კი (დოლის პური, თავთუხი, დიკა) სრული სიმწიფის სტადიაში.

მოსავლის აღება დაიწყოს პურეულის საერთო მომწიფებას მოუცდელად ყველა ნაკვეთზე და თითოეული ნაკვეთი მოითიბოს მასზე პურეულის მომწიფების მიხედვით; ამასთან, მარცვლის დაცვენის თავიდან აცილების მიზნით, მარცვლეული თავთავიანი კულტურების აღება ცალკე ნაკვეთებზე (მოთიბვა, კონებად შეკვრა, დაზვინვა, კალოზე მიტანა) უნდა დამთავრდეს 3—4 დღის განმავლობაში, ხოლო მოსავლის აღების ხანგრძლივობა თითოეულ ცალკე კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში (შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის გამოკლებით) და ერთპიროვნულ მეურნეობაში (სოფელი) არ უნდა აღემატებოდეს 8—10 დღეს.

2. მოსავლის აღება შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში, დამთავრდეს 12 დღეში.

3. დაევალოს რაიმიწგანებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაწესონ მარცვლეული კულტურების აღების დაწყების და დამთავრების ვადები ცალკე ნაკვეთების და ჯიშების მიხედვით და ამ საფუძველზე—მარცვლეული კულტურების. აღების დაწყების და დამთავრების ვადები ცალკე საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის (სოფლებში).

4. სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხაზით მარცვლეული კულტურების (საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების) ასაღები ფართობი დაწესდეს 52.277 ჰექტარი, აქედან ტრაქტორებით ასაღები ფართობი - 12.532 ჰექტარი.

5. კომბაინებით ასაღები ფართობი შირაქის საბჭოთა მეურნეობაში განისაზღვროს 6.200 ჰექტარით, ძნის შემკვრელი მანქანებით ასაღები ფართობი — 4.200 ჰექტარით.

6. დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით, დაევალოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებების და კოლმეურნეობათა გამგეობებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) 5 დღის ვადაში შეამოწმონ და შეარჩიონ თითოეულ ბრიგადაში დაუძლურებული და შრომის უნარიანი კოლექტიური პირუტყვი, სავსებით გაათავისუფლონ იგი ყოველგვარი ძუშაობისაგან და გადაიყვანონ ძოვებაზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში;

ბ) გამოყონ გამოცდილი და შემოწმებული პირუტყვის მომვლელნი (მწყემსები) სპეციალურად პირუტყვის მოსავლელად მთელი სადღეღამისო ძოვებაზე — მათი შრომა ანაზღაურონ იმის მიხედვით, თუ რამდენ მუშა - პირუტყვს მოიყვანენ ისინი მუშაობის უნარიან მდგომარეობაში.

II. გალეწვის ორგანიზაციის შესახებ

1. ყველა საბჭოთა მეურნეობასა, კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობაში შეუდგენ გალეწვას არა უგვიანეს ექვსი დღისა მოსავლის აღების დაწყებიდან, ამასთან პირველ რიგში გალეწონ ადგილობრივი ჯიშები იმ ანგარიშით, რათა სავსებით მომწიფდეს ძნებად შეკრული კოოპერატორკა და უკრაინკა.

როგორც მოსავლის აღების, ისე გალეწვის და შენახვის დროს არ დაუშვან ხარისხობრივი ხორბლის—კოოპერატორკის და უკრაინკის — შერევა ადგილობრივ ჯიშებთან.

გალეწილი პურეულის გალეწვის პუნქტებიდან ბეღლებსა და საწყობებში გადატანისას არ დაუშვან მარცვლის დაკარგვა, რისთვისაც კოლმეურნეთა შორის შეაგროვონ მთელი ტომარტარა, დაუყოვნებლივ შეაკეთონ იგი და უტარონ გადატანის შემთხვევაში სათანადოდ გამოიყონ ფურგონები, ფორნები და ურმები.

2. სალეწი აგრეგატების მუშაობის ხანგრძლივობა განისაზღვროს 21 საათით დღე-ღამეში, გალეწვის დღიური ნორმა 1 სალეწ მანქანაზე განისაზღვროს 126 ცენტნერი, დამთავრდეს გალეწვა მაქსიმალურად მოკლე ვადებში და არ იქნას დაშვებული გალეწვის გაჭიანურება.

3. წინადადება მიეცეს საქ-ტრაქტორცენტრს დაუყოვნებლივ დაამთავროს სალეწი და სხვა რთული სასოფლო - სამეურნეო მანქანების შესყიდვა კოლმეურნეობებისაგან, რომლებსაც სამსახურს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გაუწევენ.

4. წინადადება მიეცეს რაიონულ კომიტეტებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებთან ერთად, შეარჩიონ და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხარჯზე სრულ კმაყოფაზე აიყვანონ მოწინავეები და მეთანქანეები საუკეთესო შემოწმებული მუშაკებისაგან სალეწი აგრეგატების რაოდენობის მიხედვით, ამასთან მათი შერჩევა დაამთავრონ არა უგვიანეს 15 ივნისისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ყველა მწონავი და მემანქანე გაატარონ ხუთდღიურ კურსებზე არ უგვიანეს 25 ივნისისა.

III. მანქანების რემონტის და გამოყენების შესახებ

1. საქართველოს სახკომსაბჭო და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ მოსავლის ასაღები მანქანების რემონტის არადამაკმაყოფილებელ მსვლელობას, რაც საფრთხეს უქმნის მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით ჩატარებას. (10 ივნისისათვის შეკეთებულია: საცხენე ძნაშემკვრელი მანქანა — 365 ანუ გეგმის 69 პროც., სატრაქტორო ძნაშემკვრელი მანქანა—29 ანუ, 82,9 პროც., სალეწი მანქანა — 124 ანუ 45,3 პროც., ლოკომობილი — 5 ანუ 38,5 პროც.), და წინადადებას აძლევენ პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებებს უზრუნველყონ მანქანების დაუფლებული მეთანქანეებით და ტრაქტორისტებით, ხოლო ის მანქანები, რომლებიც ვერ შეკეთდებიან ადგილობრივ ნაწილებით, გადაეცეს ფასით ამ უკანასკნელთ.

IV. კადრების შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებებს უზრუნველყონ მანქანების და, ანვენტარის რემონტის უსათუოდ დამთავრება მოსავლის აღების დაწყებამდე 10 დღით ადრე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი რემონტის ხარისხს.

2. მიწსახკომმა (საქსოფლმეურნემაშაგმა) მიიღოს ზომები მის საწყობებში არსებული ყველა ასაღები მანქანის რეალიზაციისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს ცენტრალიზებული გეგმით გამოყოფილი მანქანების და მათი სათადარიგო ნაწილების თავის დროზე შემოტანა და რეალიზაცია.

3. დაევალოს პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს შეამოწმონ ავტო-საჭაპანო ტრანსპორტის მდგომარეობა და მიიღონ ზომები, რათა იგი მოსავლის აღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მზად იყოს ტვირთზიდვისათვის.

4. წინადადება მიეცეს ავტორემბაზას გამოყოს საქართველოს მიწსახკომისათვის სათადარიგო ნაწილებს საჭირო რაოდენობა და 75 ცალი ავტო-რეზინა.

5. „სოიუზტრანს“-მა — ამხ. ბაგრატიონმა გადაგზავნოს 1 თვის ვადით 1 აგვისტომდე 10 ორნახევარტონიანი ავტო-მაჭანა კომბაინების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად და შირაქის საბჭოთა მეურნეობიდან მარცვლეულის გამოსატანად.

6. დაევალოს ამხ. კილაძეს და ძაოთიაშვილს გამოავლინონ ხუთი დღის ვადაში ძნების შესაკრავად ვარგისი მთელი ბაწარი, რაც კი მოეპოება საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე არსებულ ყველა ორგანიზაციას, და მოახსენონ სახკომსაბჭოს.

7. სტაციონარული ლოკომობილები და ძრავები (დაცემენტებული) დატოვებულ იქნას კოლმეურნეობათა მოსავლის აღების კამპანიის დამთავრებამდე, მუშათა კლასის ხელისუფლების დამყარებისათვის მთელს მსოფლიოში. უკვე აღარ ფეთქს იმ კლასის გული, რომელიც 50 წლის განმავლობაში აღფრთოვანებდა გერმანიის მუშათა კლასს, კერძოდ გერმანიის მუშათა კლასს, კერძოდ გერმანიის მუშათა კლასს, კერძოდ გერმანიის ხელისუფლების დამყარებისათვის, გერმანიის კომბაინებისათვის, გერმანიის კომპარტიისათვის, კლარა ცეტკინი იყო არა მარტო სოც. საქმის გამოჩენილი მებრძოლი, ჩვენთვის, ჩაინი პარტიის მთელ ისტორიაში იგი იყო გერმანიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ტრადიციების, გერმანიის პროლეტარიატის საუკეთესო ტრადიციების განსახიერება.

ჩვენთვის კლარა იყო იმ მძიმე მსხვერპლით აღსავსე გზის ცოცხალი გამოხატულება, რომელიც გერმანიის პროლეტარიატმა გაიარა ბრძოლით, ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

ჩვენთვის, გერმანელ კომუნისტებისათვის, კლარა ცეტკინი იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საუკეთესო ტრადიციების განსახიერება.

გერმანიაში რევოლიუციური მარქსისტული მოძრაობის განვითარების მეტად ბნელ მსხვერპლით აღსავსე გზაზე, ამ მოძრაობის ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ჩვენ თითქმის ყველგან აღვნიშნავთ კლარა ცეტკინის გმირულ რევოლიუციურ საქმეებს. გერმანიის კომბარტიის ისტორია ყველა თავის უმნიშვნელოვანეს ეტაპში წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი კლარას რევოლიუციური ცხოვრების და მოღვაწეობის ისტორიას.

1905 წელში მას ვხედავთ რევოლიუციური მასიური გაფიცვების დემონსტრაციების ორგანიზაციაში. ის ხელმძღვანელობს ქალთა მუშათა მოძრაობას, ის ხელმძღვანელობს ქალთა მუშათა გაზეთს „ივრიგ ცაიტუნგ“, ის ხელმძღვანელობს ქალთა მუშათა საერთაშორისო კონფერენციებს, ის ხელმძღვანელობს ქალთა მუშათა საერთაშორისო ბიუროს, ის ხელმძღვანელობს ქალთა მუშათა საერთაშორისო დღეების ორგანიზაციას.

ომის დროს კლარა ცეტკინი ინტერნაციონალიზმის ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო. ის ხელმძღვანელობდა ინტერნაციონალისტურ ჯგუფს „სპარტაკ“-ის სახელწოდებით, ის ხელმძღვანელობდა ინტერნაციონალისტურ ჟურნალ „ინტერნაციონალ“-ს, ის ხელმძღვანელობდა ინტერნაციონალისტურ ბიუროს, ის ხელმძღვანელობდა ინტერნაციონალისტურ კონფერენციებს

მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადას

სამარცხვინო ჩამორჩენა ნათესების დამუშავებაში

(ლუშეთი, ჩვენი სპეც. კორეს პონდენტისაგან)

ლუშეთის რაიონში ნათესების დამუშავება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სიმინდის პირველი თოხნა უნდა დამთავრებულიყო 1 ივნისს, ფაქტიურად კი 20 ივნისისათვის გათოხნილი იყო 1.904 ჰექტარი—გეგმის 70 პროც. კარტოფილის პირველი თოხნის გეგმა შესრულებულია 37,4 პროც., ბოსტნეულის 39 პროც., ლობიოს 50 პროც., თავთავიანი კულტურების 16.329 ჰექტარიდან გაბარგულია 1.819 ჰექტარი, ანუ გეგმის 11,1 პროც.,

რაიონში სიმინდის მეორე თოხნა 20 ივნისისათვის არ იყო დაწყებული. ნათესების დამუშავებაში სასოფლო-საბჭოები კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეებს ვერ უწევენ კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

მთელ რიგ სას. საბჭოების მიერ ადგილი აქვს ოპორტუნისტულ თვით მდინარებაზე ორყრდნობას. მაგალითად, ჟინვალის სას. საბჭოს 20 ივნისისათვის ნათესების დამუშავების გეგმა 16 პროც. ჰქონდა შესრულებული, გორემისჯვრის, მლეთის, ფასანაურის, გუდამაყრის და უკანა-ფშავის სას. საბჭოებს ამავე რიცხვისათვის კარტოფილის პირველი თოხნა არ დაუწყიათ.

ლუშეთის რაიონის პარტიულმა საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა მთელი ძალების მაქსიმალურად გამოყენებით უახლოეს დროში უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა ნათესების დამუშავებაში.

ტ. აცანელი.

მოსავლის აღებისათვის სუსტად ემზადებიან

(საბარეჯო, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მოსავლის აღებისათვის მზადება საგარეჯოს რაიონში 1-ლი ივნისიდან დაიწყო, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი მუშაობა. რაიმიწგანს და სამანქანო - სატრაქტორო სადგურს შეუშავებული აქვთ მოსავლის აღების კალენდარული გეგმები, მაგრამ ის 20 ივნისისათვის ჯერ კიდევ არ იყო დაყვანილი ზოგიერთ სასოფლო საბჭომდე და კოლმეურნეობამდე.

მოსავლის აღებისათვის მზადება ძლიერ სუსტად მიმდინარეობს გორგი - წმინდის სასოფლო საბჭოში, და სოფ. საგარეჯოს კოლმეურნეობა „წინსვლაში“. ამ კოლმეურნეობას სამანქანო - სატრაქტორო სადგურიდან მიღებული აქვს მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა, რომელიც 20 ივნისისათვისაც კი არ იყო განხილული კოლმეურნეობის საერთო კრებაზე.

გორგი-წმინდის სასოფლო საბჭომ არ იცის რამდენი მოსავლის ასაღები მანქანა - იარაღია შეკეთებული, როგორია შეკეთების ხარისხი, დამუშავდა თუ არა კოლმეურნეობებში მოსავლის აღების გეგმები და სხვ.

ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ რაიმიწგანი და სამანქანო - სატრაქტორო სადგური სუსტად ხელმძღვანელობენ მოსავლის აღებისათვის მზადებას. საგარეჯოს რაიმიწგანს არ მოეპოვება ცნობები მანქანა - იარაღების შეკეთების მიმდინარეობის შესახებ.

მოსავლის აღებასთან დაკავშირებით 10 ივნისამდე უნდა შეკეთებულიყო 20 სათიბი, 4 ფოცხი, 8 სამკელი, 2 სალეწი, 2 სანიავებელი და 2 თვითმკვრელი; მაგრამ ეს სამუშაო 20 ივნისისთვისაც კი არ იყო დამთავრებული.

რაიმიწგანთან ჩამოყალიბებულია მანქანა - იარაღების შეკეთების ხარისხის შემმოწმებელი კომისია, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია. ხსენებული კომისიის ხელმძღვანელი ამხ. ვართანოვი; 4 დღეა არ გამოცხადებულა სამსახურის ადგილზე და არც არავითარი ზომები მიუღია მანქანების წესრიგში მოსაყვანად.

საგარეჯოს რაიონში წელს უნდა აიღოს შემოდგომის ხორბალი 67.238 ცენტნერი, შემოდგომის ქერი 5.895 ცენტნერი, გაზაფხულის ხორბალი 5.822 ცენტნერი, გაზაფხულის ქერი 9.450 ცენტნერი და შვრია 1.656 ცენტნერი. ამ რაოდენობის მოსავლის დროზე აღება მოითხოვს მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაციას.

საგარეჯოს რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა ზემოხსენებულ დეფექტების უახლოეს დღეებში გამოს წორებით უნდა უზრუნველყონ მოსავლის აღება დაწესებულ ვადებში და უდანაკარგებოდ. ბ. აფხაზავა.

თესვა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 20 ივნისი. 15 ივნისისათვის საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ სექტორში დათესილი იყო 98.655 ათასი ჰექტარი. თესვის გეგმა შესრულებულია 95,4 %-ით.

კოლმეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 99,4 %-ით, მათ მიერ დათესილია 66,411 ათასი ჰექტარი (მათ შორის კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომარაგებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, დათესეს 32.165 ათასი ჰექტარი—გეგმის 99,2 პრ.).

საბჭოთა მეურნეობებს დათესილი აქვთ 10,548 ათასი ჰექტარი—გეგმის 104,8.

ერთპიროვნულმა მეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 75,5 %-ით მათ მიერ დათესილია 18. 704 ათასი ჰექტარი (ადს).



ჩაის პლანტაციების გათოხნა გურიანთას კოლმეურნეობაში (ოზურგეთის რაიონი)

ტფილისი, „კომუნისტი“-ს რედაქციას

ერევანი, 20 ივნისი. გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტან“-ის რედაქცია, ეხმაურებარა პარტიის ცენტრალურ ორგანო „პრავდა“-ს მოწოდებას, სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს სომ. კ.პ.(ბ) ცეკა-ს ორგანო „კომუნისტ“-ს და აზერბეიჯანის კ.პ.(ბ)ც.კ.-ისორგანო კომუნისტ“-ს (თურქული) მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების საუკეთესო ორგანიზაციაზე, გასულ წელს ამ დარგში დაშვებულ იმ შეცდომების განმეორების ყოველგვარ შესაძლებლობათა აღმოფხვრაზე, რომლებსაც ღრმა ანალიზი გაუკეთა ამხ. სტალინმა თავის საპროგრამო სიტყვაში საკ.კ.პ.(ბ) ც.კ-ის პლენუმზე. შეჯიბრების ძირითადი მარვენებლები იქნება:

პირველი: დამზადების გეგმის შესრულება დაწესებულ ვადაზე 10 დღით ადრე, ამასთან უნდა მოეწყოსბირველად გალეწილი საუკეთესო ხარისხის მარცვლეულის ჩაბარება სახელმწიფოსათვის;

მეორე: ბრძოლა მოსავლის აღებისათვის მარცვლეულის დაუკარგავად;

მესამე: მარცვლეულის დაცვა გატაცებისაგან მოეწყოს კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეო ბრიგადების შეკვეთები, მუდმივი ზედამხედველობა მინდვრად პურის გალეწვის და მისი საწყობებში გადატანის დროს, მოსავლის აღებასთან ერთად ორგანიზებულ იქნას საანეულო ხვნის და თივის აღების გეგმების შესრულება;

მეოთხე: მოაწყოს რაიონული გაზეთების შეჯიბრება ყველა ამ ამოცანების შესრულებაზე.

ყველა რაიონებს რედაქციამ მიამაგრა ცალკე ამხანაგები, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენს მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და სოფლებს შორის. დამზადებათა კომიტეტთან ერთად ვიწყებთ ათდღიურის ჩატარებას, რომლის დროსაც შემოწმებული იქნება, თუ როგორ არის დაყვანილ-ვალდებულებანი მარცვლეულის ჩაბარების მხრივ და რა მდგომარეობა-შია ბეღლები, ტარა, სასწორები და დამამზადებელი ქსელის პირადი შემადგენლობა.

წინადადებას ვიძლევით მოხდეს გაზეთების შორის შეჯიბრების ათდღიურის ნაკრები (ზომების და გვერდების გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილების გაზიარება თვეში ერთხელ. წინადადების იძლევით შეჯიბრების არბიტრად არჩეულ იქნას სამხარეო კომიტეტის ორგანო „ზარია ვოსტოკა“ და ვთხოვთ მას გააშუქოს შეჯიბრების მიმდინარეობა. ჩვენი ლოზუნგია—მარცვლეულის ჩაბარების გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის, კოლმეურნეობათა ბოლშევიზაციისათვის, გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად. აღ ლა ავსწიოთ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს შორის სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

„ხორურდაინ ჰაიასტან“-ის რედაქცია.

ერევანი, „ხორურდაინ ჰაიასტან“-ის რედაქციას

ვიღებულობთ თქვენს გამოწვევას მოსავლის აღების და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების სანიმუშოდ ჩატარების შესახებ. თქვენს მიერ წარმოდგენილ სოც.შეჯიბრების პირობებს ჩვენს მხრივ ვუმატებთ შემდეგს:

პირველი. კოლმეურნეობების მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის ნატურ-გადასახადის დაწესებულ ვადებში ჩაბარება.

მეორე. კოლმეურნეობათა და ეროპიროვნულ მეურნეთა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებებზე დანარიცხების (2 პროც.) დროზე და მთლიანად აკრეფა.

მესამე. კომბაინების და სალეწი აგრეგატების მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისათვის კონკურსის მოწყობა.

მეოთხე. მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებასთან ერთად სამინდე გამოსაღების შეგროვების 100 პროც. შესრულება.

მეხუთე. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებისთანავე სათესლე ფონდების გამოყოფა და დაჯგუფება იმ რაოდენობით, რაც საჭირო იქნება მომდინარე წლის საშემოდგომო და 1934 წლის საგაზაფხულო თესვისათვის.

მარცვლეულის დამამზადებელ ძირითად რაიონებში რედაქცია გზავნის თავის მუშაკებს კოლმეურნეობათა და სოფლების შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის მარცვლეულის დამამზადებელი აპარატის პირადი შემადგენლობის შემოწმების და ნათესების მოვლა-დამუშავების მიმდინარეობის ოპერატიულად გაშუქებისა და ამ საქმეში ადგილებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით.

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში რედაქცია აწყობს საგუშაგოს მოსავლის აღების და მარცვლეულის ჩაბარების დამთავრებამდე.

„კომუნისტი“-ს რედაქცია

მიზანშეწონილად გამოვიყენოთ მუშა-ხელი

(ოჩხამური)

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას პირველ ივნისამდე. ჩაის პლანტაციების გათოხნა უნდა ჩაეტარებია 706 ჰექტარზე. მეურნეობამ შესძლო ამ დავალების მთლიანად შესრულება, გათოხნაზე გამოყენებული იქნა მუშათა დიდი რაოდენობა, მოეწყო შაბათობები, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ქობულეთის რაიონის მშრომელები, კოლმეურნეი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ გათოხნის ხარისხი ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო დამაკმაყოფილებელი. სპეციალისტები დღის დამლევს ამოწმებდნენ ჩატარებულ მუშაობას. სპეციალისტების მიერ ცალკე უბნებში აღნიშნული იყო გათოხნის დაბალი ხარისხი.

ამჟამად ოჩხამურში მიმდინარეობს პლანტაციების მეორე გათოხნა. გათოხნა ივნისის განმავლობაში უნდა ჩატარდეს 350 ჰექტარზე.

19 ივნისისათვის ამ რაოდენობიდან გათოხნილი იყო 199.5 ჰექტ. (გეგმის 57%), გათოხნის ტემპები არა დამაკმაყოფილებელია, რაც საფრთხის წინაშე აყენებს გეგმის შესრულებას. ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ მუშა-ხელის მეტი ნაწილი დირექციამ გადაისროლა ჩაის ფოთლის კრეფაზე. 365 მუშიდან ფოთლის კრეფაზე მუშაობს 235 კაცი, დანარჩენები მუშაობენ თოხნაზე.

დირექციამ, ფოთლის კრეფასთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, პლანტაციების გათოხნასაც. საჭიროა არსებული მუშა-ხელის მიზანშეწონილად გამოყენება ის ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ ფოთლის კრეფაზე, შეესებული უნდა იქნენ ქალებით და მოზარდებით; ის მუშები, რომლებსაც აქვთ საკმაო გამოცდილება ჩაის თოხნაში, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გადასროლილნი თოხნაზე.

აბჯარელი.

ამხ. კლარა ცეტკინის ხსოვნას

მოსკოვის მშრომელები ეთხოვებიან კლარა ცეტკინს

მოსკოვი, 21 ივნისი (საკ. კორ.). შენობებზე გამოფენილია სამგლოვიარო დროშები. მუშათა უთვალავი რიგები მიემგზავრებიან კავშირების სახლისაკენ, სვეტებიანი დარბაზი მორთულია სამგლოვიარო და წითელი ლენტებით. კუბო ჩაფლულია ყვავილებში.

კლარა ცეტკინის კუბო შემკულია გვირგვინებით კომინტერნის აღმასკომის, საკ. კ.პ.(ბ) ცეკას, მოსკოვის კომიტეტის, პროფინტერნის, „მეცხრაბომის“ სახელით. კუბოს თავთან დახრილია კომინტერნის საბრძოლო დროშები. საპატიო ყარაულში დგანან კლარა ცეტკინის თანამებრძოლნი.

უკანასკნელ დროს კლარა ცეტკინი ცხოვრობდა მოსკოვის ახლო, არხანგელსკში. მთელ დროს იგი ანდომებდა მუშაობას. სიკვდილამდე ორი დღის წინად მან დაიწყო წერილის წერა სათაურით „მეორე ინტერნაციონალი მუხლმოდრეკით „ბელადის“ წინაშე“. კლარა ცეტკინი ემზადებოდა პრესის საშუალებით გამოესულიყო ტორგლერის დასაცავად. აგრეთვე განზრახული ჰქონდა მიემართა მოწოდებით გერმანიის სოციალ-დემოკრატ მუშებისათვის.

კლარა ცეტკინის კრემაცია მოხდება დღეს, ღამის 12 საათზე. დაკრძალვა 22 ივნისს, საღ. 7 საათზე. წითელ მოედანზე.

კლარა ცეტკინის ბიოგრაფია

კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებს სიკვდილმა გამოსტაცა კლარა ცეტკინი, რომელსაც მალე უნდა შესრულებოდა 76 წელი. კლარა ცეტკინმა თავისი სიცოცხლე ახალგაზრდობიდანვე მოახმარა მუშათა კლასის რევოლუციური განმანთავისუფლებელი ბრძოლის სამსახურს. მისე ცხოვრების 50 წელზე მეტი აღსავსე იყო შეუდრეკელი რევოლუციონური მოღვაწეობით, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს მთელს მის ცხოვრებას გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიასთან.

კლარა ცეტკინი დაიბადა საქსონიის სახალხო მასწავლებლის ოჯახში. იგი 20 წლის იყო, როცა გაემგზავრა ლეიპციგში. სადაც შევიდა სამასწავლებლო სკოლაში.

ლეიპციგში ყოფნის დროს კლარა შეიძინა რუსეთის პოლონეთიდან გადმოხვეწილ პოლიტიკური ემიგრანტების წრეში. აქ მან გაიცნო პოლონელი ემიგრანტი ოსიპ ცეტკინი და ბევრ მეშვეობით მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის მუშათა მოძრაობას, რომელიც იმ ხანებში ჩაისახა. ოსიპ ცეტკინ-ს, როგორც „არასასურველი უცხოელის“, გერმანიიდან გადასახლების შემდეგ კლარა მას თან გაჰყვა ჯერ შვეიცარიაში, ხოლო შემდეგ პარიზში.

პარიზში მან განიცადა მძიმე წლები. მისი ქმარი დასნეულდა განუკურნებელი ავადმყოფობით და კლარა იძულებული გახდა ერჩინა ის და ორი ბავშვი გაკვეთილებით, თარგმნით და სავაზეთო წერილებით. ქმრის გარდაცვალების შემდეგ 1889 წელს კლარა დაბრუნდა გერმანიაში. იგი მოეწყო სამუშაოზე შტუტგარტში „დიცა“-ს გამომცემლობაში. 1892 წელს მან იკისრა სოციალ - დემოკრატიული ჟურნალის (ქალთა მოძრაობის საკითხებზე) „გლეიხგეიტ“-ის რედაქტორობა. როგორც ამ ჟურნალის რედაქტორი და როგორც საყვარელი ორატორი, კლარა თავის მთავარ ამოცანად სთვლიდა კლასობრივი შეგნების დანერგვას პროლეტარ ქალთა შორის და მათ დაცვას ბურჟუაზიული მოძრაობის გავლენისგან.

თავის ურნალსა და მრავალ მოხსენებაში კლარა მკაფიოდ და ნათლად აანალიზებს საკითხს ქალთა პროლეტარულ და ბურჟუა ზიულ მოძრაობას შორის არსებულ განსხვავების შესახებ. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქალთა პროლეტარული მოძრაობა, როგორც მუშათა მოძრაობის საერთო ნაწილი, თავიდანვე განზე იდგა ბურჟუაზიულ ფემინისტურ მოძრაობისგან.

კლარა ცეტკინმა არა მარტო მიმართულება და მიზანი უჩვენა ქალთა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობას, არამედ იგი ავრეთვე დაუხლისებით ხელს უწყობდა მის გაფართოებას და გაღრმავებას. იგი აწარმოებდა დიდ პედაგოგიურ და აღმზრდელობითს მუშაობას. კლარა ცეტკინმა შემოკრიბა თავისი ურნალის გარშემო თანამშრომელ ქალთა თვალსაჩინო წრე, რომელნიც ამასთან ერთად მუშაობდენ როგორც აგიტატორები და მისი ხელმძღვანელობით აწარმოებდა მუშაობას პროლეტარ ქალთა შორის.

ურნალი „გლეიხგეიტ“-ი მისი რედაქტორობით გადაიქცა კლასობრივი ბრძოლის ორგანოდ, სანამ 1916 წელს მილიტარისტული სულით გაეღენთილმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ არ გამოგლიჯა მას ხელიდან ეს ჟურნალი.

ამხ. კლარა ცეტკინი წარმატებით ეწეოდა დიდ და საპასუხისმგებლო მუშაობას აგრეთვე ქალთა საერთაშორისო მოძრაობის სფეროში, იგი იყო ქალთა კონფერენციების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, კონფერენციების, რომლებიც დაწყებული 1900 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში იმართებოდა გერმანიაში ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოილობების წინ. ქალთა პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1907 წელს შტუტგარტის კონგრესთან ერთდროულად, მისი ინიციატივით გამოტანილ იქნა დადგენილება ქალთა საერთაშორისო სოციალისტური სამდივნოს შექმნის შესახებ. თვითონ იგი აირჩიეს ამ ორგანიზაციის მდივნად.

სამი წლის შემდეგ, 1910 წლის ზაფხულში, კოპენჰაგენში შესდგა ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც ამხ. კლარა ცეტკინი ინიციატივით გადასწყვიტა 8 მარტი გამოაცხადოს ქალთა საერთაშორისო დღედ.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. კლარა ცეტკინი თავიდანვე მთელ თავის ძალღონეს და დაუშრეტელ ენერგიას ანდომებდა პროლეტარ ქალთა შორის მუშაობას, მას დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე და ეს გავლენა უფრო და უფრო გაზრდებოდა. იგი იდგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საერთო შინაპარტიული ბრძოლის მოწინავე რიგებში.

რეფორმიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კლარა ცეტკინი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა როზა ლუქსემბურგთან, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო მჭიდრო მეგობრობით, ორივენი აწარმოებდენ ბრძოლას ბერნშტეინის ცდების წინააღმდეგ. შეერყია მარქსიზმის საფუძვლები და ამით გამოეწვია მუშათა კლასის მიერ ხელის აღება სოციალიზმისათვის ბრძოლაზე, იმ დროს, როცა კაპიტალი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა ამ ბრძოლის შეწყვეტისათვის, აცხადებდა რა, რომ პროლეტარული დიქტატურის საკითხზე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, სწორედ კლარამ გააჩაღა ამ საკითხზე დაუნდობელი და ენერგიული ბრძოლა. როცა ედუარდ დავიდმა, ბერნშტეინის ამ თეორიულმა მეგობრმა, ურნალ „სოციალისტში მონატსყოფს“-ში მოთავსებულ წერილების მთელს სერიაში უარყო პროლეტარიატის ლოზუნგი, კლარამ ურნალ „გლეიხგეიტ“-ში უპასუხა სტატიით, რომელშიაც მან დაგმო რეფორმისტების თვალ საზრისი, როგორც მონების მორალი. როცა იფეთქა საერთაშორისო ომმა, კლარა ცეტკინმა დასავლეთ ევროპის სოციალისტებს შორის პირველმა სცადა დაეწყო შეწყვეტილი კავშირი სხვა ქვეყნების პროლეტარ ქალებთან. ამ მიზნით მან 1915 წელს მოიწვია ბერნის ქალთა საერთაშორისო კონფერენცია. ბერნის მანიფესტის გამოცემისა და გავრცელებისათვის იგი რამდენიმე თვით ჩასვეს სპასატიმროში. როზა ლუქსემბურგთან და ფრანც მერინგთან ერთად მან 1915 წლის ივლისში გამოსცა ურნალ „ინტერნაციონალ“-ის პირველი ნომერი.

როცა რუსეთში დაიწყო ძლევამოსილი რევოლუცია, კლარა ცეტკინმა დაიწყო თავისი ადგილის გმირული ბოლშევიკური პარტიის მხარეზე, რუსეთის რევოლუციონურ მუშების მხარეზე.

კლარა ცეტკინი სპარტაკელთა კავშირის გზით თანმიმდევრობით მიდიოდა კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალისაკენ. კლარა ცეტკინმა დაიწყო მონაწილეობა მიეღო კომინტერნის მეორე კონგრესში. იგი არჩეული იქნა რეიხსტაგში და უნდა გამოესულიყო აქ პარიზელად. თავის სიტყვაში მან სოლიდარობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და ენტუზიაზმით მიესალმა პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებას.

1920 წლის სექტემბერში კლარა პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ამ დროს კრემლის სვერდლოვის დარბაზში შეკრებილი იყო ბოლშევიკების მე-9 კონფერენცია. ამხ. ლენინმა აღნიშნა კლარა ცეტკინის უდიდესი დამსახურება პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რასაც დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდენ.

კომინტერნის მესამე კონგრესზე ამხ. კლარა არჩეული იქნა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად და ასეთად ითვლებოდა სიკვდილამდე. კლარა ცეტკინის რევოლუციური აქტივობა კომინტერნის რიგებში უაღრესად დიდი და მრავალმხრივი იყო. იგი მონაწილეობას ღებულობდა კომინტერნის თითქმის ყველა კონგრესებში და უმნიშვნელოვანეს სხდომებში, ყოველთვის უდიდეს აქტივობას იჩენდა დისკუსიაში.

მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა მოხდა 1932 წლის 8 მარტს. მან, საზეიმო ვითარებაში, კვლავ ასახა ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციის მსვლელობა, სადაც მან, როგორც რეფერენტმა, მოხსენება წაიკითხა. ამ მოხსენებაში კლარა ცეტკინი, როგორც რეფერენტი, ამტკიცებდა, რომ ქალთა პროლეტარული მოძრაობა ამ ორგანიზაციის მდგომარეობით, ისე მისი ინიციატივით გამოტანილ იქნა დადგენილება ქალთა საერთაშორისო სოციალისტური სამდივნოს შექმნის შესახებ. თვითონ იგი აირჩიეს ამ ორგანიზაციის მდივნად.

სამი წლის შემდეგ, 1910 წლის ზაფხულში, კოპენჰაგენში შესდგა ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც ამხ. კლარა ცეტკინი ინიციატივით გადასწყვიტა 8 მარტი გამოაცხადოს ქალთა საერთაშორისო დღედ.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. კლარა ცეტკინი თავიდანვე მთელ თავის ძალღონეს და დაუშრეტელ ენერგიას ანდომებდა პროლეტარ ქალთა შორის მუშაობას, მას დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე და ეს გავლენა უფრო და უფრო გაზრდებოდა. იგი იდგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საერთო შინაპარტიული ბრძოლის მოწინავე რიგებში.

რეფორმიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კლარა ცეტკინი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა როზა ლუქსემბურგთან, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო მჭიდრო მეგობრობით, ორივენი აწარმოებდენ ბრძოლას ბერნშტეინის ცდების წინააღმდეგ. შეერყია მარქსიზმის საფუძვლები და ამით გამოეწვია მუშათა კლასის მიერ ხელის აღება სოციალიზმისათვის ბრძოლაზე, იმ დროს, როცა კაპიტალი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა ამ ბრძოლის შეწყვეტისათვის, აცხადებდა რა, რომ პროლეტარული დიქტატურის საკითხზე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, სწორედ კლარამ გააჩაღა ამ საკითხზე დაუნდობელი და ენერგიული ბრძოლა. როცა ედუარდ დავიდმა, ბერნშტეინის ამ თეორიულმა მეგობრმა, ურნალ „სოციალისტში მონატსყოფს“-ში მოთავსებულ წერილების მთელს სერიაში უარყო პროლეტარიატის ლოზუნგი, კლარამ ურნალ „გლეიხგეიტ“-ში უპასუხა სტატიით, რომელშიაც მან დაგმო რეფორმისტების თვალ საზრისი, როგორც მონების მორალი. როცა იფეთქა საერთაშორისო ომმა, კლარა ცეტკინმა დასავლეთ ევროპის სოციალისტებს შორის პირველმა სცადა დაეწყო შეწყვეტილი კავშირი სხვა ქვეყნების პროლეტარ ქალებთან. ამ მიზნით მან 1915 წელს მოიწვია ბერნის ქალთა საერთაშორისო კონფერენცია. ბერნის მანიფესტის გამოცემისა და გავრცელებისათვის იგი რამდენიმე თვით ჩასვეს სპატიმროში. როზა ლუქსემბურგთან და ფრანც მერინგთან ერთად მან 1915 წლის ივლისში გამოსცა ურნალ „ინტერნაციონალ“-ის პირველი ნომერი.

როცა რუსეთში დაიწყო ძლევამოსილი რევოლუცია, კლარა ცეტკინმა დაიწყო თავისი ადგილის გმირული ბოლშევიკური პარტიის მხარეზე, რუსეთის რევოლუციონურ მუშების მხარეზე.

კლარა ცეტკინი სპარტაკელთა კავშირის გზით თანმიმდევრობით მიდიოდა კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალისაკენ. კლარა ცეტკინმა დაიწყო მონაწილეობა მიეღო კომინტერნის მეორე კონგრესში. იგი არჩეული იქნა რეიხსტაგში და უნდა გამოესულიყო აქ პარიზელად. თავის სიტყვაში მან სოლიდარობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და ენტუზიაზმით მიესალმა პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებას.

1920 წლის სექტემბერში კლარა პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ამ დროს კრემლის სვერდლოვის დარბაზში შეკრებილი იყო ბოლშევიკების მე-9 კონფერენცია. ამხ. ლენინმა აღნიშნა კლარა ცეტკინის უდიდესი დამსახურება პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რასაც დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდენ.

კომინტერნის მესამე კონგრესზე ამხ. კლარა არჩეული იქნა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად და ასეთად ითვლებოდა სიკვდილამდე. კლარა ცეტკინის რევოლუციური აქტივობა კომინტერნის რიგებში უაღრესად დიდი და მრავალმხრივი იყო. იგი მონაწილეობას ღებულობდა კომინტერნის თითქმის ყველა კონგრესებში და უმნიშვნელოვანეს სხდომებში, ყოველთვის უდიდეს აქტივობას იჩენდა დისკუსიაში.

მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა მოხდა 1932 წლის 8 მარტს. მან, საზეიმო ვითარებაში, კვლავ ასახა ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც ამხ. კლარა ცეტკინი, როგორც რეფერენტი, ამტკიცებდა, რომ ქალთა პროლეტარული მოძრაობა ამ ორგანიზაციის მდგომარეობით, ისე მისი ინიციატივით გამოტანილ იქნა დადგენილება ქალთა საერთაშორისო სოციალისტური სამდივნოს შექმნის შესახებ. თვითონ იგი აირჩიეს ამ ორგანიზაციის მდივნად.

სამი წლის შემდეგ, 1910 წლის ზაფხულში, კოპენჰაგენში შესდგა ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც ამხ. კლარა ცეტკინი ინიციატივით გადასწყვიტა 8 მარტი გამოაცხადოს ქალთა საერთაშორისო დღედ.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. კლარა ცეტკინი თავიდანვე მთელ თავის ძალღონეს და დაუშრეტელ ენერგიას ანდომებდა პროლეტარ ქალთა შორის მუშაობას, მას დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე და ეს გავლენა უფრო და უფრო გაზრდებოდა. იგი იდგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საერთო შინაპარტიული ბრძოლის მოწინავე რიგებში.

რეფორმიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კლარა ცეტკინი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა როზა ლუქსემბურგთან, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო მჭიდრო მეგობრობით, ორივენი აწარმოებდენ ბრძოლას ბერნშტეინის ცდების წინააღმდეგ. შეერყია მარქსიზმის საფუძვლები და ამით გამოეწვია მუშათა კლასის მიერ ხელის აღება სოციალიზმისათვის ბრძოლაზე, იმ დროს, როცა კაპიტალი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა ამ ბრძოლის შეწყვეტისათვის, აცხადებდა რა, რომ პროლეტარული დიქტატურის საკითხზე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, სწორედ კლარამ გააჩაღა ამ საკითხზე დაუნდობელი და ენერგიული ბრძოლა. როცა ედუარდ დავიდმა, ბერნშტეინის ამ თეორიულმა მეგობრმა, ურნალ „სოციალისტში მონატსყოფს“-ში მოთავსებულ წერილების მთელს სერიაში უარყო პროლეტარიატის ლოზუნგი, კლარამ ურნალ „გლეიხგეიტ“-ში უპასუხა სტატიით, რომელშიაც მან დაგმო რეფორმისტების თვალ საზრისი, როგორც მონების მორალი. როცა იფეთქა საერთაშორისო ომმა, კლარა ცეტკინმა დასავლეთ ევროპის სოციალისტებს შორის პირველმა სცადა დაეწყო შეწყვეტილი კავშირი სხვა ქვეყნების პროლეტარ ქალებთან. ამ მიზნით მან 1915 წელს მოიწვია ბერნის ქალთა საერთაშორისო კონფერენცია. ბერნის მანიფესტის გამოცემისა და გავრცელებისათვის იგი რამდენიმე თვით ჩასვეს სპატიმროში. როზა ლუქსემბურგთან და ფრანც მერინგთან ერთად მან 1915 წლის ივლისში გამოსცა ურნალ „ინტერნაციონალ“-ის პირველი ნომერი.

როცა რუსეთში დაიწყო ძლევამოსილი რევოლუცია, კლარა ცეტკინმა დაიწყო თავისი ადგილის გმირული ბოლშევიკური პარტიის მხარეზე, რუსეთის რევოლუციონურ მუშების მხარეზე.

კლარა ცეტკინი სპარტაკელთა კავშირის გზით თანმიმდევრობით მიდიოდა კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალისაკენ. კლარა ცეტკინმა დაიწყო მონაწილეობა მიეღო კომინტერნის მეორე კონგრესში. იგი არჩეული იქნა რეიხსტაგში და უნდა გამოესულიყო აქ პარიზელად. თავის სიტყვაში მან სოლიდარობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და ენტუზიაზმით მიესალმა პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებას.

1920 წლის სექტემბერში კლარა პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ამ დროს კრემლის სვერდლოვის დარბაზში შეკრებილი იყო ბოლშევიკების მე-9 კონფერენცია. ამხ. ლენინმა აღნიშნა კლარა ცეტკინის უდიდესი დამსახურება პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რასაც დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდენ.

კომინტერნის მეს

რესპუბლიკანური კულტპროპთათბირი

პარტიის არც ერთი წევრი და კანდიდატი ტექნიკური და აგროტექნიკური სწავლების გარეშე

ამხ. კ. ბარამიძის მოხსენებიდან

ორ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც ამხ. სტალინმა მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე მთელი სერიოზულობით დააყენა ჩვენს წინაშე ამოცანა ტექნიკის ათვისების შესახებ — იწყება ამხ. ბარამიძე. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ღონისძიებანი მიიღეს, მოწინავე მუშებს გამოცდილების საფუძველზე გაუზარდა ბრძოლა ტექნიკის ათვისებისათვის, ჩაწოლილებსა ტექნიკის შესწავლილი წრეები, ამის შედეგად ფაბრიკაში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების მხრივ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისის პროლეტარიატმა ტექნიკის ათვისებაში, დაზღის დაუფლებაში—ქოველდღიური მუშაობის პროგრამად გაიხადა. ამხ. სტალინის ხაზ. ორჯონიკიძის და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, აღგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ინიციატივით და დამკვრელი მუშების მოთხოვნით შემოღებულია ვაგონების მოშენება დღე. მხოლოდ ხაზ. ორჯონიკიძის სახ. ქარხანაში ამ ღონისძიების წყალობით ორი თვის განმავლობაში 3 კაცი, ისიც შეთავსებით. ეს ამტკიცებს იმას, რომ ტექნიკის ათვისების საკითხები ზოგიერთი ორგანიზაციების, მთელი რიგი სამეურნეო მუშაკებს მუშაობის სისტემაში არ დგას როგორც ყოველდღიური პრაქტიკული ამოცანა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თბილისმა პირველი კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა ვერ შეასრულა 20,6 პროცენტით.

ტფილისის მეორე ქარხანა თბილისში და, კერძოდ აბრეშუმის ქარხანაში ტექნიკური პროპაგანდის საკითხების მოგვარება.

